ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 66

“21” ნოემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №264“-ით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №264“-ით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 20 ნოემბრის №25.1968.2211 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა №3-ში მდებარე 7000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.16.014.024) 2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №264“-ის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთზე ბაგრატოვანთა სამეფო უნივერსიტეტის მშენებლობა“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ მხარესთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 268 721 (ორას სამოცდარვა ათას შვიდას ოცდაერთი) ლარის გადახდის პირობით.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს მხარესთან ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული შეთანხმების გაფორმება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე

შეთანხმება

2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №264“-ით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი / ნოემბერი / 2025 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: სააგენტო), წარმოდგენილი [●] მიერ;

მეორე მხრივ, შპს „ბადენი ლისის“ (ს/ნ: 405525301; შემდგომში: კომპანია) წარმოდგენილი [●] მიერ,

შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: მხარეები,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის [●] ნოემბრის №[●] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის [●] ნოემბრის №[●] განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში: **შეთანხმება**) შემდეგზე:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა №3-ში მდებარე 7000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.16.014.024) 2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №264“-ის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთზე ბაგრატოვანთა სამეფო უნივერსიტეტის მშენებლობა“.

2. კომპანია ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის გაუქმების სანაცვლოდ, ამ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადაიხადოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მარტის №001822521 დასკვნით დადგენილი თანხა - 268 721 (ორას სამოცდარვა ათას შვიდას ოცდაერთი) ლარი.

3. წინამდებარე შეთანხმების პირველი პუნქტი ძალაში შედის კომპანიის მიერ შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შესრულების დღიდან.

4. კომპანიის მიერ შეთანხმების მე-2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმება მიიჩნევა ძალადაკარგულად ხელმოწერის დღიდან.

5. 2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და

მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №264“-ის ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2009 წლის 20 აგვისტოს „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №264“-ის განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

7. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას, ამავე შეთანხმების მე-2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულების საფუძველზე, რაც დასტურდება თანხის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის წარდგენით.

8. წინამდებარე შეთანხმება, შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ხელმოწერები:

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო	**შპს „ბადენი ლისი“** **(ს/ნ: 405525301)**
_____	_____